# ხაშურის მოამბე

№4(328) 21 თებერვალი, ორშაბათი, 2022 წელი


## გენდერული თანასწორობის საბჭო - ახალი შემადგენლობით და ახალი იდეებით

ამ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის განახლებული გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს წევრები, მერიის თანამშრომლები, განათლების სფეროს წარმომადგენლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები, სამოქალაქო აქტივისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხდომაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი ხედვა წარმოადგინა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გენდერული თანასწორობის თავმჯდომარე, ნინო ლიპარტელიანმა. როგორც მან აღნიშნა, მთელი ძალისხმევა არის მიმართული იქით, რომ ახალი გენდერული საბჭო იყოს უფრო წარმომადგენლობითი და ქმედითი. საკრებულოს წევრებისა და მერიის წარმომადგენლების ჩართულობით, გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში შეტანილია ცვლილებები და წარმოდგენილია 2022 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით. შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭოს პოსტერიც.

სხდომაზე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, - თათია ბროლიძემ წარმოადინა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალური მიმართულების პროგრამების სტატისტიკური კვლევა გენდერულ ჭრილში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა ნინო სუხიაშვილმა წარმოადგინა პრეზენტაცია: „გენდერული თანასწორობა საქართველოში.“

ქალთა და ოჯახში ძალადობის თემაზე, ქალის მიმართ საზოგადოებაში არსებულ არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე საინტერესოდ ისაუბრა შსს რაიონული სამმართველოს წარმომადგენელმა მაია წკრიალაშვილმა, ბოლოს კი დამსწრეთ მიეცათ საშუალება ამ თემაზე აზრის გამოთქმის, რაც საინტერესო დიალოგში გადაიზარდა. საბოლოოდ, ყველა შეჯერდა, რომ მთავარი გამოსავალი საზოგადოების ინფორმირებულობასა და განათლებაშია, ადრეული ასაკიდან.

გენდერული საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს საბჭოს შემადგენლობას, მადლობა გადაუხადეს საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანს სასარგებლო და ნაყოფიერი დასაწყისისთვის და გამოთქვეს მზაობა აქტიური თანამშრომლობისთვის.

***

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ სამუშაო შეხვედრა გამართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობა საქართველოში“ პროგრამის ხელმძღვანელ პატრისია როსასთან და გენდერის ექსპერტ ანა წურწუმიასთან.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ - ნინო ლიპარტელიანმა სტუმრებს გააცნო გენდერული საბჭოს შემადგენლობა, რომელშიც შედიან საკრებულოსა და მერიის, სხვადასხვა პროფესიების, პოლიტიკური პარტიების, სამართალდამცველი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც შემუშავდა კვლევებისა და გამოცდილი ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე, რამდენიმე მიმართულებით არის მნიშვნელოვანი და ორიენტირებულია კონკრეტული შედეგების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ წელს პირველად გენდერული საბჭოს გეგმას დაემატა ბიუჯეტი.

საბჭოს წევრებმა ისაუბრეს საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე, კერძოდ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე, საზოგადოების ცნობიერების კუთხით არსებულ პრობლემებზე და მათი დაძლევის გზებზე.

სტუმრებმა დადებითად შეაფასეს ხაშურის გენდერული საბჭოს მიერ გადადგმული ნაბიჯები და გამოხატეს მზადყოფნა თანამშრომლობისკენ.

## კიდევ ერთხელ დიმიტრი ყიფიანის ძეგლის შესახებ

გასული წლების ბოლოს, ახალციხეში, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადგმას დავესწარი. რა მომეწონა და რა არა, ამაზე არ შევჩერდები. ერთს ვიტყვი მხოლოდ, ეს მესამე ქანდაკებაა იმავე მუნიციპალიტეტში. გადახვალ ხიდზე და დიდი თამარის თეთრი მონუმენტი შემოგანათებს. უფრო ზემოთ კი შოთა რუსთაველის ქანდაკებაა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, მხოლოდ ერთია, ისიც სურამში.

ხაშურის ცენტრში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის მოპირდაპირე მხარეს, სკვერში, დიდიხანია დევს მარმარილოს ქვა

წარწერით: „აქ დაიდგმება დიმიტრი ყიფიანის ძეგლი“. ეს ქვა დიმიტრი ყიფიანის ეზოში იდო. კომუნისტური რეჟიმის უკანასკნელმა რაიკომის მდივანმა რ. მულაძემ დადგა. მანვე გაუკეთა წარწერა მიხეილ ყიფიანის საფლავს. რამდენადაც ვიცი, ბატონ როლანდს, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დიმიტრი ყიფიანის ძეგლის დადგმა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ვერ იამაყებს წარსულის სკულპტურული ნაგებობებით. ქრთველმა ერმა შექმნა ორიგინალური სტილის ხუროთმოძღვრება, კედლის მხატვრობა, მინიატურა, ჭედური ხელოვნება... მათ შორის ბარელიეფები და გორელიეფები. მაგრამ არ დაგვრჩენია არც ერთი თავისუფალი ქანდაკება. სკულპტურის ეს განუვითარებლობა ძველ საქართველოში, იმით აიხსნება, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებლობამ შემწყნარებლობა გამოიჩინა ანტიკური ბაზილიკისა, ფილოსოფიისა და ფერწერის ტილოების მიმართ და გამოიყენა თავისი მიზნებისათვის, სამაგიეროდ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ქანდაკებას, როგორც წარმართობის ნაშთს.

მაშინ, როდესაც ქანდაკება ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ხელოვნებაა, რადგან ის მოედნებს, ქუჩებს, საზოგადოებრივ შენობებს ამკობს და უშუალოდ ფართო მოძრავ მასებს ესაუბრება. ის უკეთ გამოდგება, აგრეთვე, მომავალ თაობებთან სასაუბროდ, იმიტომ, რომ მარმარილო, ბრინჯაო, ბაზალტი უფრო ნაკლებად ექვემდებარება დროის გამანადგურებელ გავლენას, ვიდერ ხელოვნების სხვა მასალა, საღებავი და ტილო იქნება ეს, თუ პერგამენტი და ქაღალდი. ამიტომ, ყოველი კულტურული ეპოქა განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობა ქანდაკებას, რომელშიც შეიძლება ადამიანის სულიერი მოძრაობაც აისახოს და დიდი სოციალური და პოლიტიკური მისწრაფებების მხატვრული სინთეზი გადმოიცეს.

სამწუხროდ, წინა საუკუნის 90-იან წლებში და ახალი საუკუნის დასაწყისში, დიმიტრი ყიფიანის ძეგლის დადგმა არავის გახსენებია, ეკონომიური სიძნელეების გამო ან რა გვეძეგლებოდა. (თუმცა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სწორედ ამ წლებში გამოძებნეს სახსრები ილიას ძეგლის დასადგმელად). ახლა კი, შესაძლებელია ფიქრი წმინდანად შერაცხული გმირის, მტრის ურჩი რაინდის ქანდაკების დასადგმელად. დიდებული მოღვაწე, რომელსაც ერმა ადგილი დიდი ილიას გვერდით მიუჩინა. ასეთი გმირი, რომ არ გვყავდეს უნდა გამოიგონო.

მთავარ მოედანს და სკვერს, წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელი, რომ აქვს მინიჭებული და რომლის რესტავრაცია ამჟამად მიმდინარეობს, ქანდაკება დიდ იდეურ-ემოციურ ძალას მიანიჭებს. იგი გახდება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი.

საიდან უნდა მოვიძიოთ სახსრები ძეგლისათვის? პირველ რიგში, თუ დეპუტატთა კეთილი ნება იქნება - ბიუჯეტიდან... სახსრების მოძებნა შეიძლება, ოღონდ სურვილი იყოს. უნდა მოვეშვათ განუწყვეტელ ტირილსა და წუწუნს გაჭირვებაზე. უნდა შევიგნოთ, რომ ყველა გზა კუჭზე არ გადის და სულიერი ღირებულებებიც არსებობს.

და ბოლოს, ძალიან დაწყდებოდათ გული ქვიშხეთლებს თუ წმინდა მოწამის ძეგლი ქვიშხეთშიც არ დაიდგმება.

კლიმენტი სუთიაშვილი,
ისტორიკოსი

# საქართველოს მთავრობის დადგენილება №51

2022 წლის 1 თებერვალი, ქ. თბილისი

## სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევა განხორციელდეს 2022 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 30 ივნისამდე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1400-ით.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 448-ით.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1389-ით.

5. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 210-ით.

6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება, შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.

8. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს (შემდგომში – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.

10. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/ თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან, სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

# ხაშურის მუნიციპალიტეტი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #ბ84.84220216

2022 წლის 3 თებერვალი, ქ. ხაშური

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე–20-ე, 21–ე, 22–ე, 23–ე, 24–ე, 25-ე, 28–ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 თებერვლის № 51 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მოხდეს წვევამდელთა გაწვევა;

2. სამხედრო ძალებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;

3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 01 თებერვლის № 51 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-11- ე პუნქტის შესაბამისად აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან, სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

თენგიზ ჩიტიაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი; კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: მიხეილ ბარბაქაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

გიორგი კაპანაძე – შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პავლე გაგნიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ არჩვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ვასილ მახარობლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

კომისიის მდივანი:

ოლგა სიდიროპულო – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

6. საართველოს მთავრობის 2022 წლის 01 თებერვლის № 51 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან 2022 წლის 01 თებერვლიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადებით საქართველოს კანონის “სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” 30-ე მუხლის პირველი პუნქტის “ლ” ქვეპუნქტით (მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში) გათვალისწინებული საფუძვლების გაუქმების შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, 2022 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში, გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

9. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

10. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი

# ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3)

„ახალგაზრდა მარქსისტების“ ხაშურის ორგანიზაციაში ადგილობრივი ბოლშევიკური პარტიის კომიტეტის გადაწყვეტილებით ფარულად დარჩა პატარა ჯგუფი 7-8 კაცის შემდაგენლობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეწარმოებინა მუშაობა მასში ბოლშევიკური იდეების გასავრცელებლად. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში –წერს გ. დევდარიანი არსებობდა ჯგუფი 7-8 კაცისგან. ესენი იყვნენ მოსწავლე-ახალგაზრდა ბოლშევიკები, რომლებიც არ გამოდიოდნენ ორგანიზაციიდან თანახმად პარტიის რაიკომის გადაწყვეტილებისა, რათა ემუშავათ შიგნით ბოლშევიკური გავლენის მიზნით. ამ მოსწავლეთაგან შესდგა ცალკე უჯრედი ხაშურის გიმნაზიასთან. ეს გრძელდებოდა „სპარტაკის“ ჩამოყალიბებამდე.“

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციიდან გამოსულმა მუშებმა პირველ ხანებში ვერ მოახერხეს ახალგაზრდათა ბოლშევიკური მიმართულების ორგანიზაციის შექმნა. მათ გადაწყვიტეს ბოლშევიკურ პარტიაში შესვლა და ამ მიზნით მოლაპარაკებაც დაიწყეს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან პარტიაში მიღების შესახებ, მაგრამ ახალგაზრდებს მათ უარი უთხრეს, რაც იმით დაასაბუთეს, რომ „თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართო“ და წინადადება მისცეს, შეეკავშირებინათ და დაერაზმათ მუშა-ახალგაზრდობა.

ამ პერიოდში, თბილისში, გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნა“, რომელმაც მნიშვნელოვანი მაორგანიზებელი როლი შეასრულა ხაშურში „სპარტაკის“ ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში. გაზეთი წარმოადგენდა ბოლშევიკურად მოაზროვნე ახალგაზრდობის სულიერ საზრდოს „მიუხედავად იმისა, რომ მუშები ძლიერ ცუდად კითხულობდნენ რუსულ გაზეთს...,– იგონებს გ. დევდარიანი, - მას პირდაპირ იტაცებდნენ. ჩემი სახარატო დაზგა წარმოადგენდა თავის მოსაყრელ ადგილს, სადაც ხმამაღლა კითხულობდნენ გაზეთს...“, რომელმაც „შეგვაკავშირა ჩვენ, გაგვაერთიანა და უკვე ვფიქრობდით... „სპარტაკის“ შექმნაზე“.

საქართველოს „სპარტაკის“ ცენტრალური კომიტეტიც დიდ ყურადღებას იჩენდა ხაშურის, როგორც სარკინიგზო კვანძის მიმართ. 1919 წლის მაისში, ცენტრალურმა კომიტეტმა ხაშურში გამოაგზავნა ალექსანდრე (ამასი) ამირბეგოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა „სპარტაკის“ ორგანიზაციის შექმნა.

25 მაისს, ხაშურთან ახლოს, გორათის ეკლესიაში, გაიმართა კრება, რომელსაც 23 კაცი დაესწრო (გრამიტონ მოწონელიძე, გაიოზ დევდარიანი, გიორგი კალმახელიძე, ისიდორე ლომიძე, ილია აბაიაძე, გრიშა ჭკუასელი, ევგენი, ლადო, ლუბა ძინძიბაძეები, არჩილ გიორგაძე, გრიგოლ მურავსკი, სერგო მდივანი, პლატონ წიქრიძე, სოგრატ ბაბლიძე, ნიკოლოზ მესხიძე, ყარამან გელაშვილი, არჩილ შენგელია, გრიშა ქორიძე, დავით თოხაძე, ელისე ნოზაძე, გრიგოლ ბუხნიკაშვილი, თბილისადან ალექსანდრე (ამასი) ამირბეგოვი და ყაზაროვი).

კრებაზე თითქმის ყველამ გამოთქვა თავისი აზრი და გადაწყდა „სპარტაკის“ ხაშურის ორგანიზაცია გაერთიანებულიყო თბილისის ორგანიზაციასთან. ამასთან არჩეულ იქნა კომიტეტი 5 კაცის შემადგენლობით. ასე შეიქმნა „სპარტაკის“ პირველი ორგანიზაცია ხაშურში და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გამოკლებით).

„სპარტაკის“ ხაშურის ორგანიზაციის შექმნის შემდეგ პირველადი ორგანიზაციები შეიქმნა ბორჯომსა (მინის ქარხანა) და ახალდაბაში (ხე-ტყის ქარხანა), ქვიშხეთში, ტეზერში, ცხრამუხაში, ოსიაურში, გომში და სხვაგან. უშუალოდ ხაშურში არსებობდა „სპარტაკის“ ოთხი უჯრედი (საორთქლმავლო დეპო, ვაუთა გიმნაზია, ქალაქი და ხაზი).

„სპარტაკის“ ხაშურის ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ახლა უკვე იყო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესწავლა. ამ მიზნით თბილისიდან ჩამოჰქონდათ არალეგალური ლიტერატურა.

ხაშურის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ 1919 წლის ზაფხულში გამოუშვა მცირე ფორმატის გაზეთი - „მუშათა ბიულეტინი“. სულ გამოვიდა ბიულეტინის ოთხი ნომერი, რომელთაგან შემონახულია მხოლოდ ერთი – მე-4 ნომერი. იგი დათარიღებულია 21 აგვისტოთი. გაზეთში გამოქვეყნებულია წერილები: „სრული გაკოტრება“, გლეხების მდგომარეობა ბორჯომის რაიონში“, „საპროტესტო წერილი“ და სხვა.

წერილი „სრული გაკოტრება“ მენშევიკებისადმია მიძღვნილი. მასში აღნიშნული: „ის, რაც დღეს ხდება გურიაში, მოწმობს, ერთის მხრივ, მენშევიკების სრულ გაკოტრებას და მეორეს მხრივ, კომუნიზმის იდეების სრულ და ბრწყინვალე გამარჯვებას. როგორ მოხდა რომ გურია, რომელიც ერთ დროს მენშევიკებს უჭერდა მხარს, რომელიც ვერ ითმენდა ბოლშევიკებს, მიუხედავად მენშევიკების პრესის აღვირახსნილი დემაგოგიისა, ცილისწამებისა და პროვოკაციისა, აშკარად გმობს მენშევიზმს და ასევე აშკარად მთელ თავის თანაგრძნობას უცხადებს ბოლშევიკებს“

გაზეთის აზრით, ეს გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

ა) მენშევიკებმა უღალატეს ყველა თავის დანაპირებს, გადავიდნენ ბურჟუაზიისა და მემამულეების მხარეზე;

ბ) ჩამოაშორეს საქართველო და მთელი ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის მშრომელებს და საქართველოს „დამოუკიდებლობის“ სახელით მოიწვიეს აქ ჯერ გერმანიის, შმედეგ კი ინგლისის იმპერიალისტები;

გ) გაკოტრდნენ მიწის საკითხში;

დ) ადმინისტრაციული ძალა პროვინციაში მენშევიკებმა გადასცეს ნიკოლოზისდროინდელ პოლიციელებს და ჟანდარმებს. ისენი ავიწროვებენ ხალხს. მექრთამეობამ პირდაპირ ზღაპრული ხაისათი მიიღო და სხვა.

გაზეთში გამოქვეყნებული „საპროტესტო წერილიდან“ ირკვევა, რომ სადგურ მიხაილოვის (ხაშურის) რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა ბოლშევიკური ორგანიზაციის კრებამ ზიზღი გამოუცხადა „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას“ და წაუყენა მას შემდეგი მოთხოვნები: ა) დაუყოვნებლივ გამოუცხადოს ომი დენიკინს; ბ) საჩქაროდ იქნას მოწვეული ამიერკავკასიის პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის ყრილობა გ) შეწყდეს რეპრესიები მუშების პრესის და კომუნისტების წინააღმდეგ და განთავისუფლებულ იქნას ყველა ბოლშევიკი კომუნისტი დ) მიღებულ იქნას სასტიკი ზომები დენიკინის აგენტების წინააღმდეგ, რომლებიც თავისუფლად დათარეშობენ და დაძრწიან ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

საპროტესტო წერილი მთავრდება მოწოდებით:

„გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას
გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას საქართველოში
ძირს გამყიდველი სოციალისტები და მათი მთავრობა
მიხაილოვოს კომიტეტი რკ(ბ) ბოლშევიკებისა“

წერილში „გლეხების მდგომარეობა ბორჯომის რაიონში“ გადმოცემულია ის მძიმე, აუტანელი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა სოფლად მენშევიკების ბატონობის შედეგად: „რევოლუციამ აქ არაფერი არ მოუტიანა გლეხობას... სოფლის გლეხობა თავბედს იწყევლის და მეფის რეჟიმის წესებს ინატრის, იმიტომ, რომ რევოლუციას მის ცხოვრებაში არავითარი შემამსუბუქებელი გავლენა არ მოუტანია... ის დღეს ისევ მონობას გრძნობს ე.წ. „სოციალისტების მხრით“, რომლებიც თავინთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებდნენ“. „კიდევ უფრო უარესად არის დაყენებული საქმე ადმინისტრაციის მხრით, - აღნიშნულია წერილში“ - აქაური მილიცია და კომისრები არაფრით განსხვავდებიან მეფის რეჟიმის დროინდელი ბოქაულებისა და „სტრაჟნიკებისგან“, ისინი ხომ ხალხისაგან არ არიან არჩეულები. ხშირია მათი მხრით ცემა-ტყეპა, უდანაშაულო ადამიანებისა და ყოვლად უმიზეზოდ ხალხის შეწუხება.

გაზეთის ამავე ნომერში მოთავსებულია მ. გორკის წერილი “გუშინ და დღეს”. აგრეთვე ჩანს, რომ ბიულეტინის ნომრებში ქვეყნდებოდა ჟურნალ „კომუნისტიჩესკი ინტერნაციონალიდან“ გადმობეჭდილი სტატიები.

„მუშატა ბიულეტინის“ გამოცემა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ხაშურში ამ დროს (1919წ) ბოლშევიკურ ორგანიზაციას საკმაოდ მყარი პოზიციები ჰქონდა უკვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ანტიეროვნული ძალები ყოველმხრივ ცდილობდნენ პრობლემები შეექმნათ ქვეყნის შემდგომი განვითარების გზაზე. რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ოქტომბრის რეცოლუციის მეორე წლისთავისთვის - 24 ოქტომბერს, - საქართველოს მასშტაბით მოეწყო აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით.

ხაშურელი ბოლშევიკები გამოეხმაურნენ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდებას და აქტიურად ჩაებნენ აჯანყების მოსამზადებელ საქმიანობაში. მუშაობის გაძლიერებისა და აჯანყების ხელმძღვანელობისათვის რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ხაშურში მოავლინეს ზ. აიდაროვი, ა. ლომიძე, ჯეჯელავა, მათიკაშვილი, კილასონიძე და შახნაზაროვი.

1919 წლის სექტემბერში, სურამში, ჩატარდა რკპ (ბ) ხაშურის სარაიონო კონფერენცია, რომელმაც აირჩია რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა, კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. ერთი კვირის შემდეგ, შედგა რაიონული კომიტეტის სხდომა, რომელმაც შექმნა შეიარაღებული აჯანყების მოწყობისათვის სამხედრო-ტექნიკური კომისია ვ. ელბაქიძის, ვ. ქურდაძის, დეპოს მემანქანის ს. კაპანაძის და ჯარში მომუშავე ამხანაგების ა. მაისურაძის და ვ. ცხოვრებაშვილის შემადგელობით კომისიას დაევალა ხაშურის აღების გეგმის შემუშავება.

კომისიამ შეიმუშავა აჯანყების კონკრეტული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა რკინიგზის ლიანდაგების აყრას და ორთქლმავლების ჩაგდების სადგურ გომსა და ლიხში, რათა გზა შეეკრათ როგორც თბილისიდან, ასევე დასავლეთ საქართველოდან მთვარობის დამხმარე ძალებისთვის. ამის შემდეგ ხაშურში უნდა შეჭრილიყვნენ ბოლშევიკების შეიარაღებული რაზმები, რომლებსაც უნდა აეღოთ ხაშურის გვარდიის შტაბი და ყველა დაწესებულება. კერძოდ, ხაშურზე თავდასხმა უნდა მომხდარიყო სამი მიმართულებიდან: ლიხიდან ალ. ბუხნიკაშვილის ხელმძღვანელობით, ხცისიდან ზ. აიდაროვისა და ტ. ბუხნიკიძის მეთაურობით, ქემფერ-ბრილის მხრიდან ა. ლომიძის ხელმძღვანელობით და თვით ხაშუღში უნდა დაწყებულიყო გამოსვლები გრ მოწონელიძის, გ კალმახელიძის, ე. ძინძიბაძის მეთაურობით.

აჯანყების მზადებაში მონაწილეობდნენ “სპარტაკის” ადგილობრივი ორგანიზაციის წევრებიც, “აჯანყება ახლოვდებოდა და ჩვენი ორგანიზაციებიც გამალებით მუშაობდნენ... – წერდა შემდეგ გ. დევდარიანი, - ღამით ტყეში გაისმოდა განკარგულებანი, დაყენებულნი იყვნენ დარაჯები, რომ არავინ მოგვპარვოდა, დაინიშნა უფროსიც. ჩვენი ყმაწვილებიც შეიარაღდნენ... ტყეში სიწყნარეა და მხოლოდ ისმის კომანდირების ხმა და აგრეთვე ცარიელი თოფების ჩხარუნი... ო! როდის დადგება შურისძიების დრო! როდის შევებრძოლებით მენშევიკებს? ღამით, შემდოგომის მთვარის სინათლეზე ჩვენი ყმაწვილები ზოგი ქვეითად, ზოგიც ცხენით მოდიან... აცნობებენ, გადასცემენ ბრძანებებს.... სიხარული და ენთუზიაზმი ყოველივეს აჭარბებს, ყველა ერთმანეთს ეცილება მუშაობაში. ყველგან მთავარ როლს თამაშობს “სპარტაკი”.

მთავრობამ, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ბოლშევიკების მზადება აჯანყებისათვის, სასწრაფო ღონისძიებები განახორციელა მის შესაჩერებლად. აჯანყებამდე ორი დღით ადრე, 22 ოქტომბერს, თბილისში, დაჰატიმრეს სამხედრო-რევოლუციური შტაბი და ამით მოახერხეს აჯანყების ჩაშლა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ადგილებში, მათ შორის ხაშურშიც დაგვიანებით მივიდა ცნობა აჯანყების გადადების შესახებ გ. დევდარიანი იგონებს: „...22 ოქტომბერს ყველაფერი თავის ადგილზეა. ელოდებიან მხოლოდ ბრძანებას. 23 ოქტომბერს... ვზივართ ღამით..... ოთახში, რომელიც წააგავდა საკუჭნაოს, სხდომა ჰქონდა პარტიულ კომიტეტს („სპარტაკმა“ ამ დროს შეაჩერა თავისი ორგანიზატორული მუშაობა და მთლად გართული იყო მზადებაში) გავგზავნეთ სადგურზე საიმედო ამხანაგი, რომ შეხვედროდა თბილისიდან ჩამოსულ ამხანაგს... ოთახში შემდიან გლეხები, მათ შორის “სპარტაკის” წევრები და ამბობენ: „ჩვენ უკვე დავატუსაღეთ კომისარი და მილიცია, თითქმის ყველა სოფელში ინციდენტის ჩაუდენლად იარაღი ავყარეთ ადგილობრივ ხელისუფალთო“. ამ ამბავმა ჩვენ გაგვახარა, მაგრამ მეორე მხრით ნაადრევად იქნა ცნობილი ასეთი მოქმედება, რაზედაც მათ გვიპასუხეს, რომ მათ (ხელისუფლებმა) მოაძულეს თავი. უცებ შემოდის გაგზავნილი ამხანაგი და მას უკან მოჰყვება თბილისელი ამხანაგი. მისი სახე დაღვრემილი იყო... ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ რაღაც კარგად არ იყო საქმე, მან კარგა ხანს ვერ შეძლო ლაპარაკი და შემდეგ სთქვა, რომ აჯანყება გადადებულა... ამ ცნობამ ჩვენ თავზარი დაგვცა... მაშინვე გავგზავნეთ რაიონებში ამხანაგები - „სპარტაკელები“, რომ შეეჩერებინათ აჯანყება. დიდი წვალებით ჩვენ მოვახერხეთ აჯანყების დროებითი ლიკვიდაცია და წინადადება მივეცით ყველას დაშლილიყვნენ.“

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სერიიდან: ყიფიანები
მომავალი წიგნიდან „ნინო ყიფიანი“

# ნინო ტატიშვილი-ყიფიანისა

მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მამულიშვილთა შორის, რომლებიც მთელი თავისი შეგნებითა და ცხოვრების წესით, ოჯახის წევრებთან ერთად, სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდნენ, ერთ-ერთი პირველთაგანია დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. მის მიერ განხორციელებული ყველა რეფორმა და ბოლოს, მოწამეობრივი აღსასრული ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო და საჭიროების შემთხვევაში, დაიცვა და მსხვერპლად შეეწირო შენი ერის ღირსებას!...

სწორედ ღირსეული მამულიშვილისა და ოჯახის უფროსის მაგალითი განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ მისი დიდი ოჯახის ყველა წევრი აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში.

დიმიტრი ყიფიანის შვილების, ძმისშვილების, ბიძაშვილებისა და შვილიშვილების გვერდით, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში, მოკრძალებული, მაგრამ მეტად საინტერესო ადგილი უჭირავს მისი უმცროსი ვაჟის, კოტე ყიფიანის მეუღლეს, ნინო ბეჟანის ასულ ტატიშვილს.

ნინო ტატიშვილი 1867 წელს გორის რაიონის სოფელ ძვილეთში დაიბადა. მისი დედა, ეკატერინე მირზაშვილი, მეტად ნაკითხი და განათლებული ქალბატონი გახლდათ; სწორედ ამიტომ იყო, რომ ნაადრევად დაქვრივებულმა ქალმა შვიდი ობოლი გაზარდა და თითოეულ მათგანს შესაბამისი განათლება მიაღებინა. ეკატერინეს და, მარიამ (მონიკო) გიორგის ასული მირზაშვილი ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის ძმის შვილზე, ვასილ იოსების ძე ყიფიანზე იყო გათხოვილი. ზაფხულობით ნინო ხშირად სტუმრობდა დეიდას ქვიშხეთში და სწორედ ეს ურთიერთობები დაედო საფუძვლად იმას, რომ ნინო კოტე ყიფიანის მეუღლე გახდა. გამომდინარე იქიდან, რომ ნინომ ჯერ კიდევ ყმაწვილქალმა შეაბიჯა ყიფიანების ოჯახში, მის სწავლა-განათლებაზე ზრუნვა დიმიტრი ყიფიანმა დაიწყო; მიმართულებას აძლევდა მის ნიჭს, გასაოცარ უნარს და, ყველანაირად ცდილობდა, ნინო ჩამოყალიბებულიყო როგორც პიროვნება და საზოგადო მოღვაწე; სწორედ ისეთი, როგორიც მის სამშობლოს, ოჯახსა და გარემოცვას ეკადრებოდა.

ნინო ყიფიანის მოგონებები და დიმიტრი ყიფიანის მიერ სტავროპოლიდან რძლისადმი გამოგზავნილი წერილები სრულ წარმოდგენას გვიქმნის მათ მამაშვილურ დამოკიდებულებაზე; იმ სითბოზე, პატივისცემაზე და სიყვარულზე, რომელიც მათ ურთიერთობას ადუღაბებდა. ერთ-ერთ ასეთ წერილში ვკითხულობთ: შენი ძარღვები და ჩემი ძარღვები-ძაფები და ბაწრები. ძაფი თუ დანამა ჰაერმა, მალე გაშრება. ბაწარს კი დრო უნდა. მას ისე ადვილად ვერა გააშრობს რა, როგორც მალე ნახვა ერთმანეთისა, მამაშვილური ხვევნა-კოცნა ურთიერთ-არსი“.

საარქივო მასალების შესწავლამ, რომელიც ნინო ყიფიანის არც თუ უმნიშვნელო ლიტერატურული მემკვიდრეობაა, შესაძლებლობა მოგვცა, წარმოდგენა გაგვემყარებინა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე; დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების ისეთ დეტალებზე, რომელსაც ოჯახის წევრის გარდა, სხვა ვერც შეესწრებოდა და ვერც მოგვაწვდიდა.

ნინო ყიფიანი, როგორც მწერალი, ქართული პრესის ფურცლებზე XIX საუკუნის ბოლო პერიოდში გამოჩნდა. მის მიერ ფრანგულიდან ჯიოვანელის „სპარტაკის“ თარგმნამ, როგორც მუშათა კლასის, ასევე, ფართო საზოგადოების დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ზოგადად, ნინო ყიფიანის შემოქმედება ზოგადსაკაცობრიო პრობლემებს აშუქებს და ამ კუთხითაა მეტად საინტერესო. მისი მოთხრობები „საბრალო დარეჯანი“ და „პირველი ნაბიჯი“ მეცხრამეტე საუკუნის გლეხთა სავალალო ყოფაზე მოგვითხრობს. მისი ეროვნული სულისკვეთება კარგად ჩანს წერილში, სადაც იგი ეროვნულ დროშას მიმართავს: „ეროვნულო დროშავ! მუხლ-მოდრეკით, უზენაესს გრძნობათა მოზღვავებით ვეგებები შენს საზეიმო ფრიალს! კურთხეულ და უკვდავ ჰყოს განგებამ ეს სანეტარო დღე ჩემი სამშობლოს ახალი ცხოვრებისა“.

ნინო ყიფიანის მოგონებებში საინტერესოდაა გადმოცემული, თუ რა წინააღმდეგობების გადალახვის ხარჯზე უხდებოდა ქართველ ქალს საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა. რა უფლება-მოვალეობებს ფლობდნენ და რა პასუხისმგებლობას გრძნობდნენ მომავლის წინაშე. ნინო ყიფიანს ასე მიაჩნდა : „დედა-კაცი უძლიერესი და უმძლავრესი მოქმედია საზოგადო ცხოვრებისა“.

ერთ-ერთ წერილში „ოსტატი ძალუა ერმონია“, ნინო ყიფიანი საინტერესოდ საუბრობს სოფლის სკოლის სწავლების იმ უჩვეულო, მტკივნეულ მეთოდებზე, რომელიც საკუთარ თავზე გამოსცადა. მოგონება ნათლად გვიჩვენებს, თუ რა საფეხურზე იდგა ბავშვთა სწავლა-აღზრდის საკითხი XIX საუკუნის ბოლო პერიოდში; რამდენად მისაღები და მნიშვნელოვანი იყო გლეხისთვის სოფლად სკოლის გახსნა; რა ფინანსურ პრობლემებს აწყდებოდნენ ისინი ამ სკოლაში... და თუ სკოლა მაინც გაიხსნებოდა, იქ უკვე ბავშვების ტანჯვა-წამება იწყებოდა, რუსულისა არაფერი გაეგებოდათ და ამის გამო იყო, რომ მასწავლებლებისგან ფიზიკურადაც ისჯებოდნენ; ბოლოს კი ისე გამოვიდოდნენ სკოლიდან, რომ აღარც ქართული იცოდნენ ხეირიანად და აღარც რუსული...

პესიმისტური განწყობა იკითხება ნინო ყიფიანის წერილში „გოდება ქართლის დედისა“, სადაც მას ქართველი მამაკაცების მდგომარეობა აწუხებს: „შენ არა გტირი! იმიტომ რომ შენ-შენ არა ხარ! თუმც არც მომკვდარხარ, მხოლოდ გარდაიჰქმენ , გაილესე უკუღმართი ცხოვრების ტალღებში...“ მისი წერილების მიხედვით, ავტორი ძალიან გულნატკენია იმის გამო, რომ სათანადოდ არ ფასდებიან სამშობლოს კეთილდღეობისთვის დაღლილი და თავგანწირული ადამიანები. ნინო ყიფიანის ცხოვრების უკანასკნელ წლებზე, დუხჭირ ყოფაზე და სულიერ კრიზისზე მისი პირადი წერილები ღაღადებენ.

დიმიტრი ყიფიანის პიროვნული თვისებების უკეთ გაცნობისა და მისი ცხოვრების სიღრმისეულად გააზრებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ნინო ყიფიანის მოგონებები. მისი გადმოცემის საფუძველზე, საინტერესო კუთხით ვხედავთ ილია ჭავჭავაძეს, ვანო მაჩაბელს, არჩილ ჯორჯაძეს, აკაკი წერეთელს, კოტე ყიფიანს და სხვ. ნინო ყიფიანი მადლიერებით აღსავსე სიტყვებით იხსენებს ძვირფას მამამთილს, რომელმაც მიმართულება მისცა მის ცხოვრებას; როგორ შეიძლებოდა, არ დაეფასებინა დიდი ქართული ტრადიციული ოჯახი, სადაც ქვეყნისთვის არაერთ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი; ოჯახი, სადაც ხშირად სტუმრობდნენ და ქვეყნის ავ-კარგზე საუბრობდნენ პოეტები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი, და სხვ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბეჟან ტატიშვილის ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი და შემდგომ, დიმიტრი ყიფიანის მსოფლმხედველობით ნასაზრდოები ნინო, თავიდანვე ეროვნული სულისკვეთებით განიმსჭვალა და უნდობლობა გამოუცხადა კოლონიურ პოლიტიკას.

წერილში, რომელიც ნინო ყიფიანმა დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებიდან ოცდახუთი წლის აღსანიშნავ თარიღს მიუძღვნა, იგი წერს: „თავაზიანი, თავმდაბალი, დამთმობი, კეთილი, ყველას მოყვარული, ის უცბად ხდებოდა ამაყი, მკაცრი, მკვახე, დაუნდობელი, თუ ვინმე მის წმინდათა-წმინდას შეეხებოდა. ხოლო ეს წმინდათა წმინდა იყო მისი სამშობლო. იგი უყვარდა უზომო სიყვარულით, უყვარდა მთელი მისი ნაკლოვანებებით, შეგნებით, ჭკუითა, გულითა, მთელი არსებით“.

წინამდებარე ნაშრომი შესაძლებლობას გვაძლევს, სიღრმისეულად გავიცნოთ ნინო ყიფიანი, როგორც მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადოებრივ ფერხულში აქტიურად ჩაბმული ქართველი ქალი. ქალი, რომელიც სწავლამოწყურებული ქართველი ახალგაზრდების დიდი გულშემატკივარი და ხელშემწყობი გახლდათ.

ილია ჭავჭავაძის დაღუპვის შემდეგ, 1907 წელს, ნინო ყიფიანის თაოსნობით დაარსებულმა „ილია ჭავჭავაძის სახელობის ფონდმა“ ქართველ ახალგაზრდებს განათლების მიღების მეტი შესაძლებლობა მისცა. საარქივო მასალების საფუძველზე ვეცნობით ქართველ ქალთა (ეკ. გაბაშვილი, მარიამ დემურია, ანასტ. თუმანიშვილი წერეთლისა, ნინო ნაკაშიძე და სხვ.) მოღვაწეობას, რომლებმაც, სხვა სასიკეთო საქმეთა შორის, „ღარიბ ქალთა პროფესიული სასწავლებელი“ დააარსეს. უზრუნველყვეს ნიჭიერი ბავშვების სწავლის დაფინანსება საზღვარგარეთ და სხვ.

„ქალთა კომისიის წრის“ სახელით ნინო ყიფიანმა გამოსცა თავისი ცნობილი „მოწოდება სწავლა-განათლების შესახებ“. მან მწერალ ქალებთან ერთად ( ეკ. გაბაშვილი, დომინიკა ერისთავ-განდეგილი, ანასტასია თუმანიშვილი) ერთად, 1914 წელს იმოგზაურა აჭარაში. მეტად საინტერესო ის წერილები, სადაც მას ქართველი მაჰმადიანი ქალების ცხოვრების პირობები აქვს აღწერილი. ნინო, როგორც დისიდენტი, კრიტიკულად უყურებს აჭარაში არსებულ პრობლემებს და აყენებს საკითხს, სახელმწიფომ იზრუნოს მათ სწავლა-განათლებაზე. ნინო ყიფიანმა მთელი თავისი მოღვაწეობა, როგორც მცდელობა ქართული სულიერების შენარჩუნებისა, სამშობლოს სიყვარულსა და დიდებული მამამთილის ხსოვნას მიუძღვნა.

მას შემდეგ, რაც 1923 წელს, დიმიტრი ყიფიანის ეზო-კარმიდამო ქართველ მწერლებს გადაეცათ საგარაკოდ, ნინო ყიფიანს, სახლის მეორე სართულზე, ერთი პატარა ოთახი მიაკუთვნეს და სიცოცხლის ბოლო წუთამდე იქ იმყოფებოდა. 1937 წელს, ქართველი ინტელიგენციის მასობრივი დევნის პერიოდში, თითქოსდა პროტესტს უცხადებდაო პოლიტიკას, იგი სამუდამოდ გამოეთხოვა ცოდვა-მადლით განაწამებ სიცოცხლეს და განსასვენებელი ქვიშხეთში, იმ ტაძრის გალავანში ჰპოვა, რომელიც სულმნათმა დიმიტრიმ ააგო და დღესაც მოიხსენიება, როგორც დიმიტრი ყიფიანის კარის, მაცხოვრის აღდგომის სახელობის ეკლესია.

1967 წელს, ქვიშხეთში, ნინო ყიფიანის დაბადებიდან 100 წლის თარიღის აღსანიშნავად, საქართველოს მწერალთა კავშირისა და გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ინიციატივით მისი საიუბილეო საღამო გაიმართა. აქვე გადაწყდა,-ყიფიანების საგვარეულო სახლში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიმიტრი ყიფიანი, მოეწყოს სახლ-მუზეუმი; ქვიშხეთის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დასასვენებელ სახლს ეწოდოს ყიფიანების დასასვენებელი სახლი და გამოიყოს ოთახი დიმიტრი, კოტე და ნინო ყიფიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიციისთვის. პირველ ექსპონატად, ჯერ კიდევ იდეურად დაარსებულ მუზეუმს, გადაეცა ქართველი მხატვრების, ნ. კანდელაკისა და მ. კეშელავას მიერ შესრულებული სურათი -„ნინოს პორტრეტი“.

დღევანდელი მონაცემებით სახლ-მუზეუმი რესტავრირებულია. აქ დაცული მასალებიდან, დიმიტრი ყიფიანისა და მისი შთამომავლების ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წყაროა შემდეგ მკვლევართა ნაშრომები: არჩილ ჯორჯაძე, იოსებ უთურაშვილი, სიმონ ხუნდაძე, თამაზ ჯოლოგუა, მურად მთვარელიძე, თამაზ ლაცაბიძე, თამარ მიქაძე, გურამ ყორანაშვილი, გივი გელაშვილი და სხვ.

2007 წელს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა სათანადოდ შეაფასა დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი და, იგი, როგორც სამშობლოს საკურთხეველზე ზვარაკად შეწირული, წმინდანად შერაცხა.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომით, რომელის უმრავლესობას ნინო ყიფიანის დღემდე უცნობი მასალები შეადგენს, მოკრძალებული პატივი მივაგეთ, როგორც მწერალ ქალბატონს, ასევე, ამ საპატიო მისიით, ერთგვარი ვალი მოვიხადეთ დიმიტრი ყიფიანის ხსოვნის წინაშე.

კლარა გელაშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი, დიმიტრი
ყიფიანის სახლ- მუზეუმის ფონდების მცველი

# ხაშურში, პარტია „საქართველოსთვის“ გუნდის წევრებმა პარტია დატოვეს და მის ლიდერს, ყოფილ პრემიერ-მინისტრს მოღალატე უწოდეს

ხაშურში გახარიას გუნდის წევრები პარტიას ტოვებენ. ხაშურის რაიონული ორგანიზაციის წევრების გარდა პარტია "საქართველოსთვის" საკრებულოს პროპორციული სიის წევრებმაც დატოვეს. ამის შესახებ ხაშურის ორგანიზაციის დამფუძნებლებმა საჯარო განცხადება გააკეთეს. მათი განმარტებით ეს გადაწყვეტილება პარტია „საქართველოსთვის'' და ნაციონალურ მოძრაობას შორის პოლიტიკური ალიანსით არის გამოწვეული. ბრიფინგზე მათ გიორგი გახარიას მოღალატე უწოდეს და განაცხადეს, რომ მან არ დაუტოვა სხვა გზა გარდა პარტიის დატოვებისა.

-დებიუტი -

# ჩემი რონალდუ

ავტორი ამ სტატიისა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, სულ 14 წლისაა, იგი ჩვენთან, რედაქციაში მამამ მოიყვანა. როგორც წესი, ამ ასკის მოზარდებს მსოფლმხედველობის სრულ ჩამოყალიბებამდე კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი. მას კი თავისი მომავალი უკვე განსაზღვრული აქვს და არც აპირებს ამ გზიდან გადაუხვიოს-ჟურნალისტობა სურს, თანაც უფრო კონკრეტდება და სპორტულ ჟურნალისტობაზე ოცნებობს, რაც 14 წლის გოგონასთვის საოცარი მიზანსწრაფვაა. დღეს მისი დებიუტია მედიასივრცეში. იგი კრიშტიანუ რონალდუს ფანია, ქვემორე სტატიაც მას მიუძღვნა და ვფიქრობთ, არც თუ ურიგოდ გამოუვიდა. მაშ, გზადალოცვილი ყოფილიყოს მისთვის "დიდი ავიაციისაკენ" მიმავალი ბილიკი, რომელსაც გვჯერა, ასეთი მიზანსწრაფვით იგი აუცილებლად სწრაფად გაივლის და თავის ოცნებასაც აისრულებს.

***

პირველყოფილი თემური წყობილებიდან დაწყებული, დღემდე, ცივილიზებულ სამყაროს შემთხევაშიც, ადამიანებს ყველა ეპოქაში სჭირდებოდათ ლიდერი, პიროვნება, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, განათლებით, ბრძოლისუნარიანობით(ადრეულ ეპოქებში) და სხვა დადებითი თვისებებით მაგალითად იქცეოდნენ მასებისთვის. მათ შეეძლოთ და შეუძლიათ ამ მასების გაერთიანება, ერთიანი მიზნისთვის დარაზმვა და საბოლოო, დიდი მიზნის მიღწევა. ნებისმიერ სფეროში ულიდეროდ შეუძლებელია წარმატებაზე ფიქრი. ბუებრივია, გამონაკლისი არც სპორტია და აქ ლიდერს თითქმის ორმაგი დატვირთვა აქვს, მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული და გუნდურ თამაშში მისი როლი შეუცვლელია. დღევანდელ სპორტში თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება ამ თვისებებით, უპირველესი თუ არა, ერთ-ერთი პირველი კრიშტიანუ რონალდუა, ფეხბურთელი, რომელიც ათასების სიყვარულია, სპორტსმენი, რომელსაც თავისი სასწაული ტექნიკური არსენალით, მეტოქე გუნდების გულშემატკივრებიც კი შეიძლება აღფრთოვანებაში მოიყვანოს და ოვაციებიც გაუმართონ, ფეხბურთელი, რომელიც 37 წლის ასაკშიც კი ახერხებს საოცრებები შექმნას მინდორზე და თავის გუნდს გამარჯვებისკენ წარუძღვეს. მეც იმ ათასების რიგში ვარ, ვისაც შეუძლია დამეები ტეხოს, რომ მისი კიდევ ერთი გამობრწყინება იხილოს, მისი გოლით მასთან ერთად გაიხაროს და მოუთმენლად დაელოდოს შემდეგ მატჩს. ეს სიყვარული კი "რეალი"-"იუვენტუსის" შეხვედრიდან იწყება, როდესაც რონალდუმ, წარმოუდგენელი სიმაღლიდან, ე.წ. მაკრატელათი ულამაზესი გოლი დააჭედა იტალიელების კარს. მე ყველაფერი მხიბლავს მასში-საოცარი ტექნიკა, მიზანსწრაფვა, გულშემატკივრებთან დამოკიდებულება, გოლის ალღოს წარმოუდგენელი უნარი. როდესაც რონალდუ გოლს იტანს, მასთან ერთად მეც ბედნიერი ვარ, მარცხის შემთხევაში კი ვტირი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ხვალ თუ ზეგ ისევ მისი თუ ჩემი დღე მოვა და გამარჯვების ყიჟინას კვლავ ერთად დავცემთ. დიახ, მიყვარს რონალდუ, სიღარიბეში გაზრდილი ბავში, რომელიც აგერ უკვე ოცი წელია, მთელ საფეხბურთო მსოფლიოს აღაფრთოვანებს და რომელმაც მართლაც ეპოქა შექმნა ფეხბურთში.

რაზე ვოცნებობ? რა თქმა უნდა, ვოცნებობ მასთან ერთად გადაღებულ სელფზე, ვოცნებობ მაისურზე, რომელზეც მისსივე ავტოგრაფი იქნება და ვოცნებობ მთავარზე, რომ ჩემს ქვეყანაშიც გვყავდეს მისი მსგავსი ფეხბურთელი, რომელიც ჩემი სამშობლოს საფეხბურთო ნაკრებს დიდი გამარჯვებისაკენ წარუძღვება. მჯერა, პაიჭაძის, ღოღობერიძის, ხურცილავას, ყიფიანის, შენგელიას, დარასელიას თუ ჩივაძის სამშობლოში, აუცილებლად გამოჩნდება ფეხბურთელი, რომლის სახელი მსოფლიოს უდიდეს სტადიონებს დაიპყრობს და მეც, თუ მექნება ბედნიერება და უცხო სტადიონზე მის გაბრწყინებას ვიხილავ, შემეძლოს მთელი ტრიბუნის გასაგონად ვიყვირო: -იცით, ეს ბიჭი, ჩემი სამშობლოდანაა.

ნინო კიკნაძე,
ხაშურის მე-9 საჯარო სკოლა

სპეციალისტი გვირჩევს

# როგორ მოვიშენოთ ქათამი

გაზაფხული კარსაა მომდგარი და იწყება ის პერიოდი, როდესაც ქათამი დედობისთვის ემზადება. აკრუხების შემთხვევაში, კალათში ან დათბუნებულ ბუდეში უნდა ჩავალაგოთ 7-10 დღის თბილად ნაგროვები კვერცხები. კვერცხი არ უნდა იყოს გარეცხილი, რადგან გარეცხილი კვერცხი ჩეკვას ხელს შეუშლის. კვერცხების რაოდენობა დამოკიდებულია კრუხის სიდიდეზე(მასაზე). თუ ქათმის მასა დიდია, შეიძლება 20-21 კვერცხის დადება. მთავარია, კრუხმა სრულყოფილად დაფაროს ყველა კვერცხი. ინკუბატორის შემთხვევაში, ტემპერატურას ვაყენებთ 37.8 გრადუსზე და პირველივე დღეს ვამუშავებთ იოდზეფის ხსნარით. მე-18 დღეს ვრთავთ სატრიალებელ სისტემას და კვერცხს ვასხამთ ძმრიან წყალს, რაც აიოლებს გამოჩეკვას. გამოჩეკვის შემდეგ, წიწილები გადაგვყავს საზრდელ ყუთში-ე.წ. ბრუდერში, რომელშიც ტემპერატურე უნდა უახლოვდებოდეს 30 გრადუსს, ერთ კვირაში ტემპერატურას ვამცირებთ 25 გრადუსამდე, ორ კვირაში 20 გრადუსამდე, შემდეგ კი ვაგუებთ ბუნებას.

პირველი ერთი დღე წიწილებს საკვებს არ ვაძლევთ, მეორე დღეს შესაძლებელია კვერცხის გულის მიცემა, მესამე დღეს კი შესაძლებელია წიწილის გადაყვანა გრანულაზე ან სიმინდის ღერღილზე, აუცილებელია მისთვის დანამატის მიღებაც. კარგ შედეგს იძლევა "ვიტომინი" და "ჩიკტოვნიკი(ერთ ლიტრზე ერთი გრამი)". დანამატები, თუ წიწილა ინკუბატორშია გამოჩეკილი, შეგვიძლია ვაძლიოთ 2 თვის განმავლობაში, რაც, პრაქტიკულად, გამორიცხავს ქათამში კალცის ნაკლებობას, საფრინველეში გადაყვანამდე აუცილებელია დეზინფექციის ჩატარება. ამისათვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა 10 პროცენტიანი კირიანი ხსნარი. საფრინველეში კი, სასურველია დაიდგას ორი ყუთი, რომელშიც იქნება ქვიშა და ნაცარი. ქვიშიდან მოზარდი ქათამი იღებს კალცს, ნაცარი კი მას მავნებლებს(ქიქაბა, რწყილი) მოშორებაში ეხმარება. კირის ხსნარით დეზინფექცია აუცილებელია თვეში ერთხელ მაინც.

ზეზვა ტეფნაძე,
ვეტექიმი

- მცირე ბიზნესი -

# აგროეკოლოგია სურამშიც ვითარდება

"ხაშურის მოამბე" აგრძელებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, რადგან მიგვაჩნია, რომ საშუალო ბიზნესთან ერთად, სწორედ მათზე გადის ქვეყნის ეკონომიკური აღმასვლის გზა და უმუშევრობის საბოლოო აღმოფხვრა. დღეს მცირე ბიზნესის ერთ-ერთ საინტერესო წარმომადგენელს გაგაცნობთ. **ანა ქიმერიძე** იმ ქალების რიცხვს ეკუთვნის, რომელსაც რესურსებ-

ის განვითარების არ ეშინია. ბავშვობის ოცნებას, მხატვარი გამხდარიყო, ახლა, თავის საქმიანობაში ახორციელებს. შოკოლადის და ჩირების საოცარ მიქსებს ქმნის, ღვინოს აყენებს, დღესასწაულებს აფერადებს და სამომავლო ოცნებებიც კი ასეთივე ფერადი და შემოქმედებითი აქვს. საკუთარი ხელით ქმნის ყველა დეტალს, ყველაფერს მისი ხედვა და ესთეტიური დამოკიდებულება ეტყობა.

—ჩემი პროფესია ძალიან განსხვავებულია იმისგან, რასაც დღეს ვსაქმიანობ. თუმცა, ბავშვობიდან ვხატავ და ძალიან დიდი სურვილი მქონდა, ჩემი გატაცება პროფესიად მექცია. მოხდა ისე, რომ სხვა მიმართულებით წავედი და აგროეკოლოგი გავხდი. ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია. ოჯახის შექმნის შემდეგ, როცა შვილები გაიზარდნენ, გადავწყვიტე, ისეთი საქმით დავკავებულიყავი, რაც მომწონს, რისი კეთების რესურსიც მაქვს და ოჯახისთვისაც მექნებოდა თავისუფალი დრო. გამიჩნდა იდეა, გამეკეთებინა საბავშვო გასართობი ცენტრი, რამდენიმე წელი ვიმუშავე და პანდემიის გამო, დაიხურა ცენტრი. ჩემი ხელით გავაკეთე ავეჯი, დეკორაცია, ყველა დეტალი, მიუხედავად იმის, რომ მანამდე მსგავსი გამოცდილება არ მქონია. მეორე ცენტრიც გავაკეთე პარალელურად თუმცა, ეპიდ. რეგულაციების გამო, ამ ეტაპზე, ისიც დავხურეთ. მერე მომიწია სხვა რამეზე გადაწყობა.

**- მაღაზიის თაროებზე, შოკოლადის ძალიან ლამაზ სასაჩუქრე შეფუთვებს ვხედავთ, რომლის მწარმოებელიც თქვენ ხართ. საიდან გაჩნდა იდეა და თუ გქონდათ მანამადე მსგავსი პროდუქციის წარმოების გამოცდილება?**

—თავიდან ჩირებს ვაკეთებდი სახლისთვის, შემდეგ გამიჩნდა იდეა, შოკოლადთან ერთად გამეკეთებინა კომბინაციაში. ინტერნეტით გავეცანი ტექნოლოგიებს და ვცადე, გამოვიდა. ჩვენი ბაზრისთვისაც ახალი იყო და ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა, რამაც ძალიან დიდი სტიმული მომცა. გავაკეთე გვერდი და იქ განვათავსე. ამის შემდეგ, ჩემი ნაწარმი სოფლის მეურნეობის გვერდზე მოხვდა, საიდანაც დამიკავშირდა ერთ-ერთი მაღაზიის ფლობელი თბილისიდან და შემომთავაზა ჩემი პროდუქციის შეტანა მის მაღაზიაში. აქ უკვე გაყიდვები დაწყებული იყო, ძალიან კარგად იყიდებოდა, თუმცა, აქაც პანდემიურმა ამბავმა იმუშავა. არ ვიცი, საიდან გაიგო ჟურნალმა ok, დამიკავშირდა რედაქტორი, გაკეთდა ჩემზე სტატია, რადიო რეპორტაჟიც. მიუხედავად, ამ რეკლამის, მაინც აქტიურად ხაშურის ბაზარზე ვუშაობდით.

**- რამდენადაც ვიცით, ჩირსაც აწარმოებთ...**

—ცალკე ჩირებს არ ვყიდი, ესაა მარწყვის, ჟოლოს, მაყვლის, მოცვის, სხვადასხვა ციტრუსების კომბინაცია შოკოლადთან. თავიდანვე სასაჩუქრე მიმართულება ავირჩიე, ხის დაფებზე გვქონდა. სასაჩუქრე შეფუთვა, ეტიკეტი და ყველა ვიზუალური დეტალი ჩემი გაკეთებულია. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ყველაფერი ჩემს მეგობართან ერთად გავაკეთე და ერთად ვუძღვებით.

**- ღვინის წარმოებაზეც გვესაუბრეთ. როგორც ვიცი, ესეც ოჯახური წარმოებაა...**

—დიახ, ოჯახური ამბავია. ჩემს მეუღლეს აქვს ვენახი, ოჯალეშის ყურძნის. ძალიან კარგ ღვინოს აყენებს, ყველას ძალიან მოსწონდა, ვისაც გაუსინჯავს. ტრადიციული წესით ვაყენებთ. გადავწყვიტეთ, ბოთლებში ჩამოგვესხა და საბაზრე ღირებულება მიგვეცა. ნოემბერში ჩამოვასხით 100 ბოთლი, გავუკეთეთ შეფუთვა, ეტიკეტი, ახალი წლის შემდეგ კიდევ 200 ბოთლი ჩამოვასხით. ხაშურის ბაზარზე არ გაგვიტანია, რადგან ღირებულება მაღალია, ძირითადად, სახლიდან ვყიდით და სასაჩუქრედ ვიყენებთ.

**- სამომავლოდ, ამ მიმართულებითაც ხომ არ გაქვთ რამე იდეა?**

—ძალიან მინდა მარანი, ძველი ოდა გავაკეთო, სურამში ვცხოვრობთ და ვფიქრობ, სამომავლოდ, ტურისტული მიმართულებით განვვითარდეთ. ყველა ტექნიკური დეტალი, რაც ღვინის წარმოება-ჩამოსხმას ეხება, ყველაფერი ჩემი ხელით გავაკეთე. ფინანსურადაც მხოლოდ საკუთარი ძალებით ვაკეთებთ ყველაფერს, რაც დამატებით სტიმულს გვაძლევს იმისთვის, რომ ყველაფერი გამოვა.

**- დღესასწაულების და წვეულებების დიზაინის კეთების იდეა საიდან მოვიდა?**

—რადგან ჩემი ბავშვობის სურვილი ხელოვნებას ეხება და ძალიან მომწონს ხატვა, დიზაინის კეთება და ჩემი სამომავლო გეგმებიც ამას ეხება, ამ ეტაპზე ვაკეთებ ნათლობის, ჯვრისწერის გაფორმებას და დიზაინს. საკმაოდ დიდი დაინტერესებაა და შეკვეთებიც მაქვს.

ინტერიერის დიზაინის კურსების გავლას ვაპირებ, ჩემი სამომავლო გეგმა ესაა. ოჯახის თანადგომა ძალიან დიდია, მიწოდების კუთხით განსაკუთრებით.

**- რას ეტყოდით ქალებს, რომლებსაც რაიმე საქმის წამოწყებაში, გარკვეული შიშები აქვთ?**

—არაფრის არ უნდა შეგეშინდეს, სიახლეებს თან ახლავს სირთულეები და ეს ბუნებრივად გასავლელია. საკუთარი ხელით დავიწყე და ავაწყე ყველა საქმე, რომელიც მაქვს, მიუხედავად გამოცდილების არქონის, მაინც გავრისკე და ვთვლი, რომ გაამართლა. დღეს, გვაქვს იმის შესაძლებლობა, განვავითაროთ უნარები. არც დაბადების დღის ცენტრის, არც შოკოლადის წარმოების და არც ღვინის წარმოების გამოცდილება არ მქონია, მაგრამ დღეს ჩემი საქმე მაქვს და ამით კმაყოფილი ვარ.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.